

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/222

ქ. ბათუმი

14 დეკემბერი, 2021 წელი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა ჩარიცხვისა და აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 22 ნოემბრის MES 4210001254482 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N01-02/198 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 29 ოქტომბრის N01-02/190 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N01-02/212 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა გასაუბრების ადგილის, თარიღის, საგამოცდო და სააპელაციო კომისიების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 07 დეკემბრის N 01-02/218 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩარიცხვის უფლებამოსილებულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 დეკემბრის N01-02/220 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის (დირექტორის მ.შ.) 2021 წლის 13 დეკემბრის N1355852 და N1360307 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ ჩაირიცხონ მსმენელები N1 დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ აკადემიური კალენდარი N2 დანართის შესაბამისად.
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამის მსმენელთათვის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის გაცნობა.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - „სამართლებრივი აქტები“ და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“) და გამოქვეყნდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი


მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ მსმენელთა ჩარიცხვისა და აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 14 დეკემბრის № 01-02/222 ბრძანების დანართი №2

ბსუ-ს პროფესიული მომზადების პროგრამის „ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა“ აკადემიური კალენდარი

#	პროფესიული მომზადების პროგრამის კოდი და დასახელება	კვალიფიკაციის დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	პროგრამის განხორციელების ვადა	კვალიფიკაციის მინიჭება
1	01238 - ტყის ძირითადი მერქნიანი და არამერქნული რესურსებით სარგებლობა	III	9	16.12.2021- 15.02.2022	16.02.2022- 20.02.2022